საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 374 2019 წლის 27 თებერვალი ქ. თბილისი

შპს „ბლექ სი არენა ჯორჯიას“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს „ბლექ სი არენა ჯორჯიას“ (ს/ნ: 405158804) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი მართვის უფლებით, უსასყიდლოდ, პირდაპირი გადაცემის ფორმით გადაეცეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, არსებობის ვადით.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**